# community

The New Apostolic Church around the world

01/2016/GE

# 2016 წლის დევიზი:

## გავიმარჯვოთ ქრისტესთან ერთად

ღვთისმსახურება ოკლენდში:
ღმერთი აღთქმას გვიდებს

კატეხიზმო: ქრისტეს ეკლესია
და საეკლესიო თანამდებობა

მოწვევა: 2019 წლის
საერთაშორისო
ახალგაზრდული დღე

New Apostolic Church
International

# გავიმარჯვოთ ქრისტესთან ერთად

საერთაშორისო ახ.ე.

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

მთელი გულით გისურვებთ ამ ახალ წელს ღვთის კურთხევას:

- რამეთუ შეიგრძნოთ მისი სიახლოვე და თანხლება;
- ატაროთ მისი სიყვარული;
- და დარწმუნდეთ მის წყალობაში.

ახალი წლის დადგომა განაპირობებს იმას, რომ შინაგანად შევჩერდეთ და საკუთარ თავს ასეთი კითხვა დავუსვათ: „რამდენად წავედი წინ ჩემი მიზნისკენ მიმავალ გზაზე?“

ამისთვისერთიმარტივისაზომიარსებობს.წარმოიდგინეთ, რომ სახლისკენ მიდიხართ: თავიდან მიზანი ჯერ კიდევ პატარა გეჩვენებათ, თითით შეგიძლიათ მისი გადაფარვა. მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებით, მით უფრო დიდდება იგი და უფრო მკაფიოდ შეგიძლიათ მისი დანახვა.

ჩვენი მიზანი საუკუნოდ უფალთან ყოფნაა. გასულ წელს უფრო ახლოს მივედით მასთან? უფრო დიდი გახდა იესო ჩვენთვის, ვიდრე ერთი წლის წინ იყო? შეგვიძლია უკეთ შევიცნოთ მისი არსი?

წინსვლაში შუალედური მიზნების დასახვა დაგვეხმარება: „სიყვარულით საქმისადმი“ – 2014 წლის ჩვენი დევიზი - ასე ვთქვათ, ეს ერთი ეტაპი იყო.

ანდა „სიხარული ქრისტეში“, ჩვენი დევიზი ახლახანს გასულ წელს - გზის კიდევ ერთი მონაკვეთი.

მოდით, ახლა შემდეგი ნაბიჯი გადავდგათ: სიტყვისა და საიდუმლოს მეშვეობით ღმერთი ძალას გვაძლევს იმის დასაძლევად, რაც მისგან გვაშორებს. ის ამ ბრძოლაში გამარჯვების ძალას გვაძლევს.

მოდით, ქრისტესთან ერთად გავიმარჯვოთ!

- ქრისტე ბოროტზე გამარჯვებაში გვეხმარება. მას არ ამოუძირკვავს ბოროტი ამქვეყნიდან, მაგრამ სძლია მას. ვერავინ შეუშლის ქრისტეს ხელს იმათ გადარჩენაში, ვინც მასზეა მინდობილი.
- ქრისტე შიშზე გამარჯვებაში გვეხმარება: წელსაც გვექნება მომავალზე საფიქრალი. გადაწყვეტილებების მიღების დროს შეიძლება შიშისგან ვკვდებით კიდეც, მაგრამ იესო ქრისტე ხომ ჩვენთან არის, რათა სწორ გზაზე დაგვაყენოს.
- ქრისტე საკუთარ თავზე გამარჯვებაშიც გვეხმარება:
  - სიამაყეზე გამარჯვებაში, რაც ღვთის შემწეობის მიღებაში გვიშლის ხელს;
  - მიკერძოებულ აზრზე გამარჯვებაში, რაც მოყვასის სიყვარულში გვიშლის ხელს;
  - იმ დაუოკებელ სურვილზე გამარჯვებაში, რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი აზრი გამოვხატოთ.

და როგორ გავიმარჯვო ქრისტესთან ერთად?

- იმით, რომ ვიწამო იესოს ჭეშმარიტება;
- მიყვარდეს მისი მაგალითისამებრ;
- შეუპოვრად ვიდგე მასთან და
- თანაზიარებაში ვეძიო მასთან ერთობა.

ეს არის რამოდენიმე მოსაზრება წლევანდელ დევიზთან დაკავშირებით. მთელი წელი გვაქვს იმისათვის, რომ უფრო ჩავუღრმავდეთ მას - მთელი წელი შემდგომი დიდი ნაბიჯისათვის მიზნისკენ.

მოდით, 2016 წელი ქრისტესთან ერთად გამარჯვების წლად ვაქციოთ!

თქვენი ჟან-ლუკ შნაიდერი

# ღმერთი აღთქმას გვიდებს

ოკლენდში ღვთისმსახურებაზე 900 ერთმორწმუნე და-ძმა შეიკრიბა, 1 100 კი - სამხრ. ისლანდიიდან, ავსტრალიიდან, ფიჯის კუნძულებიდან და პაპუა-ახალი გვინეადან - ტრანსლიაციის მეშვეობით იყო დაკავშირებული.

ფოტო: ავსტრალიის ახ.ს.ე.

## რჯლ. 5, 3

„ჩვენს მამებთან კი არ დადო უფალმა ეს აღთქმა, არამედ ჩვენთან, ყველა ჩვენთაგანთან, ვინც აქ ცოცხლები ვართ დღეს.“

საყვარელო ძმებო და დებო, პირველად ვარ მე აქ, ახალ ზელანდიაში. სამხ. მოციქულისა და ძმებისაგან გამიგია, რომ ახალი ზელანდია შესანიშნავი ქვეყანაა. ჯერ კიდევ არაფერი მინახავს თქვენს ქვეყანაში, მაგრამ მჯერა იმის, რაც მითხრეს. ისიც გავიგე, რომ ამ ქვეყანაში შესანიშნავი თემები და მორწმუნე ძმები და დები არიან. მჯერა რომ ასეა, მაგრამ დღეს გამოვიყენებ შესაძლებლობას და თვითონ ვნახავ.

გუშინ ბავშვებთან ერთად ვიყავით და დიდებული დღე გვქონდა. საკვირაო სკოლის ბავშვთა შეკრების დევიზი იყო ის, რაც მე აქ, საგალობელთა კრებულებზე დაწერილი ვნახე: „Be about my Father‘s business“ („... რომ მე მმართებს იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი ეკუთვნის მამაჩემს“). თქვენ იცით, რომ ეს დევიზი იესოს იმ სიტყვას ეყრდნობა, რომელიც თორმეტი წლისამ თავის მშობლებს უთხრა, როცა ისინი მას ეძებდნენ და მერე ტაძარში იპოვეს: „მერედა რას მეძებდით, ნუთუ

არ იცით, რომ მე მმართებს იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი ეკუთვნის მამაჩემს?“ და, რა თქმა უნდა, ეს ეხება ყველა ჩვენთაგანს და არა მხოლოდ ბავშვებს. ჩვენ იქ ყოფნა გვმართებს, სადაც ყველაფერი ეკუთვნის ჩვენს მამას. შეიძლება ეს ვალდებულებად, იძულებად ჩავთვალოთ და სწორედ ეს არის უსიამოვნო: მე „მმართებს“ იმის გაკეთება, რაც ეკუთვნის მამას. მაგრამ აქ ეს არ იგულისხმება. შენ არ ხარ ვალდებული, იარო ღვთისმსახურებებზე; შენ არ ხარ ვალდებული, აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალსამოციქულო ეკლესიაში. თუ არ გააკეთებ ამას, შედეგიც შესაფერისი იქნება!

> არა, ეს ღვთიური კავშირი, აღთქმა მამებს კი არ ეხებოდა, არამედ გვეხება ჩვენ, ვინც დღეს აქ ვართ და ვცხოვრობთ.

მაშ, მოდით, განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს „... სადაც ყველაფერი ეკუთვნის მამაჩემს“. ეს კითხვა სხვაგვარად დავსვათ: „რა არის ჩვენი მამის საქმე? მისი საქმეა ადამიანების ბოროტისგან, უსამართლობისა და, საბოლოო ჯამში, სიკვდილისგან ხსნა. ის ამაზე მუშაობს. ამასთანავე, ის ადამიანებისათვის იმის შესაძლებლობასაც უზრუნველყოფს, რომ ისინი ქრისტესთან შეხებაში მოვიდნენ, მის რწმენამდე მივიდნენ და ამგვარად ხსნასაც მიაღწიონ. ამაზე მუშაობს ზეციერი მამა ჩვენი, ჩვენ კი დიდი წყალობა, შესაძლებლობა და დავალებაც კი გვაქვს იმისა, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ საქმეში და ვითანამშრომლოთ. ჩვენ თავად გვაქვს ხსნით სარგებლობის სიამოვნება და იმის უფლება, რომ სხვებსაც დავეხმაროთ, რათა ისინიც ეზიარონ ხსნას. თუ ამ დევიზს ასე შევხედავთ, ვფიქრობ, მასში არაფერი იქნება იძულებითი, პირიქით, ამ დევიზის შესაბამისად მოქმედება წყალობად, სიხარულისა და კურთხევის წყაროდ იქცევა. არა მარტო ბავშვები, არამედ ჩვენც ყველა, თქვენ, ძმებო და დებო, მოწოდებულნი ვართ ვიყოთ იქ, სადაც ყველაფრი მამას ეკუთვნის.

ახლა მოვისმინეთ სიტყვა, რომელიც ძველად ისრაელის ხალხის მიმართ იყო ნათქვამი. საქმე ეხება აღთქმას, რომელიც ღმერთმა თავის ხალხს დაუდო. მოკლედ ისტორიის შესახებ: ღმერთმა ხალხი ამოირჩია თავისთვის, ისრაელის ხალხი: თავის დროზე არც ყველაზე დიდი, არც ყველაზე ძლიერი და არც ყველაზე მნიშვნელოვანი ერი. არ არსებობდა გასაგები მიზეზი იმისა, რომ სწორედ ეს ხალხი უნდა არჩეულიყო, მაგრამ ღმერთმა ეს ხალხი მიიღო სიყვარულითა და წყალობით და აღთქმა დაუდო მას. პირველი, რაც მან გააკეთა, ეგვიპტის მონობიდან გაანთავისუფლა ისინი, ფარაონის ხელიდან, და ხორების მთაზე დაელაპარაკა მათ: „ამოგარჩევთ ჩემს საკუთრებად ყველა ხალხიდან.“ ეს იყო აღთქმის პირველი ნაწილი. ღმერთმა ისრაელიანები მეწამულ ზღვაში გაატარა და ეგვიპტელთა ხელიდან იხსნა. მან აღთქმა მისცა მათ და იმ მომავალზე ელაპარაკა, რომელიც მათთვის ჰქონდა გათვალისწინებული. ისინი ისეთ ქვეყანაში უნდა მისულიყვნენ, სადაც თაფლი და რძე მოედინებოდა. და მისცა მათ რჯული, დაკავშირებული იმ აღთქმასთან, რომ კურთხეული იქნებოდნენ ისინი, თუ შესატყვისად მოიქცეოდნენ. ეს არის იმ აღთქმის მოკლე შინაარსი, რომელიც ღმერთმა თავის ხალხს დაუდო. თუ ხალხი დაიცავდა მას, კურთხეული იქნებოდა.

ეს ყველაფერი - გადარჩენა, მეწამულ ზღვაში გავლა, აღთქმის დადება, ხორების მთაზე მომხდარი მოვლენა - უკვე დიდი ხანი იყო, რაც უკან დარჩა; თაობა კი, რომელმაც ეს ყოველივე თავის თავზე გამოსცადა, ცოცხალი აღარ

ბავშვები პირველმოციქულსა
და ჩამოსულ სტუმრებს
სიმღერებით ესალმებიან

ღვთისმსახურებაზე თანაიქადაგეს ნოელ ე. ბარნესმა (სურათზე საკურთხეველთან მდგომი), სამხ. მოციქულის თანაშემწეებმა დევიდ დევერაიმ და ჯონ ფენდტმა

იყო. ორმოცი წლის შემდეგ მამებიდან აღარავინ იყო ცოცხალი. მხოლოდ მოსე და რამოდენიმე მათგანიღა იყო დარჩენილი, რომლებმაც მეწამული ზღვის გავლა საკუთარ თავზე გამოსცადეს და იმის მოწმენი იყვნენ, თუ როგორ ელაპარაკებოდა ღმერთი თავის ხალხს. დანარჩენები კი, ვინც იმას შეესწრო, თუ როგორ დაფარა ღრუბელმა მთა და როგორ ადიოდა კვამლი ჭექა-ქუხილის თანხლებით და როგორ გაისმა ღვთის ხმა, ცოცხლები აღარ იყვნენ. თაობამ, რომელსაც მოსე ახლა ელაპარაკებოდა, ეს ისტორია მხოლოდ მამათა მონათხრობიდან იცოდა. თქვენ იცით, როგორც ხდება ხოლმე, როცა მოხუცები რაღაცას გვიყვებიან. ამ დროს შეიძლება ისიც თქვან: ჰო, ეს ყველფერი ალბათ ცოტათი გადაჭარბებულიაო. როცა ადამიანი თავად არ მოსწრებია რაღაც მოვლენას, უჩნდება კითხვა, მართლა სინამდვილეა ეს იტორია თუ ცოტათი შელამაზებულიო.

> იესო შენთვის მოკვდა
> და აღდგა და ის კვლავ
> მოვა შენთვის, შენდა
> დასახსნელად.

მაგრამ მოსემ ისრაელიანებს უთხრა: ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც მოისმინეთო. ღმერთმა წყალი გააპო და მეწამულ ზღვაში გაგვატარა, ის თავად დაგველაპარაკა მთაზეო!

ამას მოსდევს ისტორია აღთქმული ქვეყნის შესახებ. ხალხმა იცოდა, რომ იყო აღთქმული ქვეყანა, მაგრამ ისიც გაიგეს,რომ ამ ქვეყნის ასაღებად ბრძოლა იყო საჭირო. ამ პერიოდისათვის უდაბნო უკვე უკან ჰქონდათ მოტოვებული და ხალხში ასეთი აზრი ტრიალებდა: „არც აქ არის ცუდი. კარგი, გასაგებია, რომ უდაბნოში ჩვენი მამები აღთქმულ ქვეყანაზე ოცნებობდნენ, მათ ხომ არაფერი გააჩნდათ, მხოლოდ შიმშილი, წყურვილი, გაჭირვება, ისინი სახლს ნატრობდნენ. მაგრამ უდაბნო ხომ უკან მოვიტოვეთ, ხომ შეიძლება, რომ აქ დავრჩეთ, აქაც კარგად ვიქნებოდით. და რა აუცილებელია, რომ აღთქმული ქვეყნისათვის ვიბრძოლოთ?

მოსემ იცოდა ამ საფრთხის შესახებ და ამიტომაც თქვა: „არა, ეს აღთქმა მამებს კი არ ეხებოდათ, არამედ ჩვენ, ცოცხლებს, ვინც დღეს აქ ვართ. ღმერთს სურს, რომ თქვენ აღთქმულ

ქვეყანაში შეგიყვანოთ და ეს საქმე ღირს საბრძოლველად!“

მოსეს კარგად ესმოდა, რომ ისრაელის ხალხი სხვა ხალხებთანაც შევიდოდა კონტაქტში, რომლებსაც სხვა კანონები ჰქონდათ. ისრაელიანები ნახავდნენ, რომ მათ არ ეკრძალებოდათ ღორის ხორცის ჭამა და, რომ კიდევ სხვადასხვა რაღაცეების უფლებაც ჰქონდათ, მაგრამ მაინც კარგად იყვნენ. მათი ცხოვრებაც ისევე კარგი იყო, როგორც ისრაელიანებისა, ბედნიერები ისინიც იყვნენ და წარმატებებიც ჰქონდათ. მათთან სულ სხვა კანონები იყო ძალაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინიც ფუნქციონირებდა. და რაღა ისრაელიანებს უნდა დაეცვათ მაინც და მაინც რჯული? ნუთუ კომპრომისზე წასვლა არ შეიძლებოდა?

ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ უხმო მოსემ ხალხს და უთხრა: ეს აღთქმა გეხებათ თქვენ, ვინც აქ დგახართ და ცხოვრობთო.

მოკლედ, ეს რაც ძველ აღთქმას შეეხება. ახლა კი ახალი აღთქმის პერიოდზე გადავიდეთ. ახალი აღთქმა ძველის გაგრძელებაა: ღმერთმა მისი ძე მოავლინა ამქვეყნად, რათა თავისი ხალხი ეხსნა: ეხსნა მისი მსხვერპლის მეშვეობით, ეხსნა მისი აღდგომის მეშვეობით, ეხსნა მისი დამსახურების წყალობით. იესოს მოწაფეები ყოველივე ამის მოწმენი იყვნენ. ისინი იცნობდნენ მას, მასთან ერთდ ცხოვრობდნენ, ესაუბრებოდნენ, შეხვდნენ მკვდრეთით აღმდგარს და მიხვდნენ, რომ ის ის იყო, ის მოკვდა და მკვდრეთით აღდგა. მან გამარჯვება მოიპოვა. იესომ აღუთქვა მათ: „როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ“. რა დიდებული აღთქმაა!

მან მათ სახარება მისცა, მისცა მცნებები და მისი სიტყვის დაცვას ასწავლიდა, ასე ისინი კურთხეულები იქნებოდნენ. ეს ყველაფერი 2000 წლის წინ იყო. და რა ხდება დღეს?

დღეს ვერავინ იტყვის: მკვდრეთით აღმდგარი უფალი ვნახეო! მე შემიძლია დავამოწმო, რომ ეს ჭეშმარიტებაა: როგორც მან თქვა, ის აღდგა. ისიც უნდა ითქვას,რომ ქრისტიანობაშიც კი ისმის ხმები, რომლებიც ამბობენ: „აბა რა ვიცი, სიკვდილისა და აღდგომის ისტორია ..., ვინ იცის, მართლა ასე მოხდა თუ არა ... იქნებ ცოტა შეალამაზეს კიდეც. ეს შეიძლება სიმბოლურადაც ყოფილიყო გაგებული. აქ ლაპარაკია მნიშვნელობაზე და არა იმის სავალდებულო რწმენაზე, რომ იესო მოკვდა და აღდგა. ის, რომ ვიღაცა ჩვენთვის, ჩვენს გამოსასყიდად უნდა მოკვდეს, ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის?“ ეს დღეს ბევრს უცნაურად ეჩვენება, რაც ჩვენი დროის საფრთხეს წარმოადგენს.

ახალი აღთქმის სასულიერო თანამდებობა, მოციქულობა, უფლისგან არის მოვლენილი იმისათვის, რომ მოციქულებმა ქრისტეს მსხვერპლზე, მის სიკვდილსა და აღდგომაზე იმოწმონ: იწამეთ იესო ქრისტეს აღდგომა. ეს ჭეშმარიტებაა. ის, რაც წმიდა წერილში ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაზე წერია, ჭეშმარიტებაა. ეს არის ჩვენი რწმენის მთავარი არსი. ეს არის უპირველესი ამოცანა ელჩებისა ქრისტეს მაგიერ.იესომ ისინი ამ სიტყვებით მიავლინა: „ვინც თქვენ მიგიღებთ, მე მიმიღებს“, ამიტომაც ლაპარაკობენ მოციქულები ქრისტეს ავტორიტეტით. და რა არის ის ცნობა, რომელსაც ისინი იუწყებიან? მათ ეს ჭეშმარიტება უნდა აუწყონ ყველას: „იესო შენთვის მოკვდა, შენთვის, ვინც აქ ხარ და ცხოვრობ; მისი აღთქმა პირადად შენ გეხება.“

ყოველივე ეს შენთვის მოხდა, შენს გამო და ხდება შენთვის, შენს გადასარჩენად: იესო შენთვის

მოკვდა და აღდგა, და კვლავ მოვა ისევ შენთვის, შენს დასახსნელად. ეს ის აღთქმაა, რომელიც ღმერთმა მოგვცა.

ეს არის ახალი აღთქმის სასულიერო თანამდებობის ამოცანა, და ჩვენ, მოციქულები, არ დავიღლებით ჩვენი უფლისა და მოძღვრის ამ ამოცანის შესრულებით. ჩვენ გვწამს იესო ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომისა, ჩვენ გვწამს, რომ იესო ჩვენთვის მოკვდა, ჩვენ გვწამს, რომ ის კვლავ მოვა ჩვენს გადასარჩენად. მისი აღთქმა ასეთია: „შენ მიიღებ ღვთის სასუფეველში შესვლის უფლებას. შენ შეხვალ დიდებაში, ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში.“

ზოგი ფიქრობს, რომ ეს გზავნილი ჩვენი წინაპრებისთვის იყო განკუთვნილი. ისინი მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, უწევდათ ბრძოლა არსებობისათვის, სიღატაკის, გაჭირვების, სნეულებების, ომისა და სხვადასხვა საფრთხეებისა და კრიზისების გადატანა და ამიტომ სჭირდებიდათ რაღაც, რაც ამგვარ იმედს ჩაუსახავდა მათ: „ერთ დღესაც მოვა ხსნა და ყველაფერი უკეთესად იქნება!“

პირველმოციქული შნაიდერი ატარებს წმიდა ზიარებას განსვენებულთათვის

დღეს კარგი სამედიცინო მომსახურება გვაქვს, არ გვიწევს მომავალზე ფიქრი და მის გამო შიში. ჩვენ ვაკონტროლებთ ჩვენს ცხოვრებას, ბევრი პრობლემის გადაჭრა ხერხდება. აქ, ამ ქვეყანაში მშვიდობა სუფევს და ადამიანს მომავლის ორგანიზება შეუძლია. აღარ არის იმის აუცილებლობა, რომ უკეთეს მომავალს საიქიოში ველოდებოდეთ. თუ სწორად მივუდგებით საქმეს, აქ, დედამიწაზეც შევძლებთ ბედნიერების მიღწევას. აღარ არის აუცილებელი, რომ უკეთესი მომავლის იმედად საიქიოზე იოცნებოს კაცმა. ღმერთთან საუკუნო თანაზიარების წადილმა, ღვთის სასუფევლის მოლოდინმა მნიშვნელობა დაკარგა. ბევრ ადამიანს უკვე აღარ აინტერესებს ეს.

მაგრამ ახალი აღთქმის პერიოდში ღმერთმა სულიწმიდა მოავლინა, რომლის ამოცანაც სწავლება და ღვთის ძის განდიდებაა. ის ქრისტეს დიდებას გვაუწყებს, შევყავართ ქრისტეს შემეცნებაში და გვასწავლის, თუ რაში მდგომარეობს ქრისტეს დიდება. იესომ მასზე თქვა: „ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია“.

სულიწმიდის ამოცანა დღესაც ის არის, რომ დაგვანახოს, თუ ვინ არის ქრისტე, განადიდოს იგი, ჩვენ კი მის სიდიადეს, მის წყალობას გვაზიაროს. ქრისტეს დიდება ყველაფერზე დიდია, რისი წარმოდგენაც კი შეგვიძლია. ღმერთთან თანაზიარება ისეთი საოცრებაა, რასაც ვერავინ წარმოიდგენს. სულიწმიდა გვეუბნება: „გწამდეს ქრისტეს აღთქმა, გაჰყევი მას და დაგიფასდება. კარგი იქნება, იარო იმ გზაზე, რომელიც ღვთის სასუფეველში, ღმერთთან თანაზიარებაში შეგიყვანს. შენ ამას არ ინანებ.“

ახალი აღთქმის მოციქულები იმ მისიით არიან მოვლენილნი, რომ წმიდა ზიარება იზეიმონ. ყოველთვის, როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ამით ღმერთთან დადებულ აღთქმას ვადასტურებთ; სულ უფრო მეტად ვიზრდებით იესო ქრისტეს შემეცნებაში. რაც უფრო უკეთ ვეცნობით იესო ქრისტეს, მით უფრო იზრდება ჩვენი სიყვარული მის მიმართ და ჩვენი მასთან ყოფნის სურვილი. ეს არის წმიდა ზიარების უფრო ღრმა მნიშვნელობა. იესომ თქვა: „თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს.“ ამის უწყებაც მოციქულთა ამოცანაში შედის.

დიდებულია საუკუნო სიცოცხლე და საუკუნო თანაზიარება ღვთის სასუფეველში. მოდით, წავიდეთ მისკენ. ის ყველაფერზე მაღლა დგას და აქ, დედამიწაზე, ვერაფერს შევადარებთ მას. მაგრამ ამის მისაღწევად წმიდა ზიარება აუცილებელია, მას კი ღვთისმსახურებაზე ვიღებთ. არ არის საკმარისი ამის თქმა: „მე მორწმუნე ქრისტიანი ვარ, მორწმუნე ღვთისშვილი და, სადაც შემიძლია, ყველგან სიკეთეს ვაკეთებ.“ ღვთის სასუფეველში მოსახვედრად იმ საკვების მიღებაა საჭირო, რომელსაც უფალი გვაძლევს, წმიდა ზიარების, რომელიც აქ, ეკლესიაში, გაიცემა და სადაც მოციქულები მოღვაწეობენ.

როგორც ისრაელიანები ჭამდნენ აღთქმული ქვეყნისკენ

მიმავალ გზაზე მანანას, წმიდა ზიარებაც ასეთივე საკვებია ჩვენს ამ გზაზე. მის გარეშე არაფერი გამოვა.

აქ ლაპარაკი იმაზე არ არის, რომ ხალხი ღვთისმსახურებებზე მოვიყვანო, მაგრამ ვერც იმაზე გავჩუმდები, რომ წმიდა ზიარების ღირსეული მიღება აუცილებელია, რათა მომზადებულნი შევხვდეთ ქრისტეს მეორედ მოსვლას და ღმერთთან საუკუნო თანაზიარებას მივაღწიოთ.

პირველ საფრთხეს, რომელიც მოსემ დაინახა, დღესაც ვხედავთ. ზოგი ამბობს: „ღვთის რჯული, მცნებები და სახარება კარგია, მაგრამ ბევრი ვიცით, ვისაც სხვა რამის სწამს. მათ საკუთარი კანონები გააჩნიათ. და ნახეთ, ისინიც ზუსტად ისევე არიან ბედნიერები, როგორც ჩვენ. ზოგჯერ უფრო ბედნიერებიც კი. შეიძლება ჩვენი მამა-პაპისთვის ყოველივე ამას მოქმედების ძალა ჰქონდა, მაგრამ დღეს უბრალოდ აღარ გამოდის. ამ სხვებს უფრო მეტი წარმატება აქვთ, ვიდრე ჩვენ.“ აქ უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის წარმატება. იესო ამბობდა: „ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ მას და მე თავად გამოვეცხადები.“

ცხადია, იმისათვის,რომ გავმდიდრდეთ, წარმატებულები და ბედნიერები ვიყოთ, განვითარებას მივაღწიოთ აქ, დედამიწაზე, სახარება არ არის საჭირო. ამისათვის სხვა გზებიც არსებობს. მაგრამ ქრისტეს სიყვარულში დასარწმუნებლად, მისი სიკეთისა და სიახლოვის განსაცდელად და მის შესაცნობად, მხოლოდ ერთი გზა არსებობს: მორჩილება სახარების მიმართ; სახარების ყოფით ცხოვრებაში განხორციელება ძალაში იყო ჩვენი მამა-პაპისთვის და ძალაშია დღეს ჩვენთვისაც. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ უფრო მეტი ფული გვქონდეს, დაცულნი ვიყოთ სნეულებებისგან, დარწმუნებულნი ვიყოთ იმაში, რომ ჩვენი ბავშვები კარგად განვითარდებიან, არამედ იმიტომ ვემორჩილებით უფლის მცნებებს, ღვთის რჯულს, რომ იესო ქრისტეს სიყვარული შევიგრძნოთ. გვინდა მისი თანადგომა გამოვცადოთ. გვინდა ქრისტესთან თანაზიარების ბედნიერება განვიცადოთ. რაც უფრო თანმიმდევრულად მივყვებით ქრისტეს რჯულს, მით უფრო უკეთესად ვიგებთ მას. მით უფრო უკეთესად ვწვდებით იმ გეგმას, რომელიც მას ჩვენთვის აქვს განზრახული. მისი აღთქმა, ახალი აღთქმა, მამებისთვის კი არ არის, არამედ ჩვენთვის არის, ვინც აქ ვართ და ვცხოვრობთ. ჩვენ იმის რწმენით ვცხოვრობთ, რომ ქრისტე ჩვენთვის მოკვდა და, რომ ის თავისთან წაგვიყვანს, როცა მეორედ მოვა. ეს არის მისი კავშირი, რომელიც ჩვენთან დაამყარა, აღთქმა, რომელიც ყველას გვეხება და, რომლის აღსრულებასაც გვინდა რომ დავესწროთ. ამიტომ ვესწრებით ღვთისმსახურებებს, ამიტომ არის წმიდა ზიარება ასე მნიშვნელოვანი ჩვენთვის და ამიტომ ვზრუნავთ იმაზე, რომ ღირსეულად მივიღოთ იგი. ამიტომაც, მოდით, ვიაროთ იმ გზით, რომელსაც უფალი გვიჩვენებს. ამიტომ ვემორჩილებით უფალს და ამიტომ ვიყენებთ სახარებას ყოფით ცხოვრებაში.

ვიცი, ეს ყველაფერი ახალი არ არის, მაგრამ დღევანდელი ეს სიტყვა იქნებ სწორედ შენთვის ან ჩემთვის არის განსაზღვრული, და იქნებ იმას ემსახურება, რომ რაღაც შევცვალოთ ჩვენს ცხოვრებაში. შეიძლება ასეც იყოს!

## ძირითადი აზრები

ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტე ნამდვილად ჩვენთვის მოკვდა და, რომ კვლავ მოვა, რათა თავისთან წაგვიყვანოს.

ჩვენ ვესწრაფვით საუკუნო დიდებას და ამის მისაღწევად ღირსეულად ვეზირებით.

ჩვენ ვიცავთ ღვთის რჯულს, რამეთუ ქრისტეს სიახლოვე შევიგრძნოთ.

# მშვიდობა მსოფლიოში - მშვიდობის მნიშვნელობის შესახებ მსოფლიოში

„მსოფლიო მშვიდობის გამო შიშში“ - ჟღერს ცნობილ ახალსამოციქულო საგალობელში. ქრისტიანებს მშვიდობა სურთ. ჯერ კიდევ იესო ეუბნებოდა თავის მოწაფეებს, რომ მათ ამქვეყნის უნდა შინებოდათ, მაგრამ, ვიდრე ის მათთან იქნებოდა, მშვიდად შეეძლოთ ყოფნა. და რა ხდება დღეს?

არის მშვიდობა მსოფლიოში? ნამდვილად არა. გასულ წელს 30 ომზე მეტი იყო, ძირითადად სამოქალაქო ომები, რომლებსაც დიდი რაოდენობით უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვა. დაუნდობლად იქცევიან ტერორისტული დაჯგუფებები. ბევრი ადამიანი ჩრდ. აფრიკასა თუ ახლო აღმოსავლეთში შეშინებულია, სისასტიკეს, სიკვდილს გაურბის და სამშობლოს ტოვებს. დევნილთა ნაკადებს ბოლო არ უჩანს.

ამავე დროს, არსებობს მშვიდობის საერთაშორისო დღე. ის ყოველ წელს 21 სექტემბერს იმართება და მისი ორგანიზატორი გაეროა. ის მთელ მსოფლიოშია მიღებული. იგი დაზავების დღე უნდა იყოს, დღე, როცა იარაღი დუმს და ადამიანები ფიქრს იწყებენ. მაგრამ ამ მოწოდებას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. მშვიდობისკენ ამ მოწოდებას მსოფლიოს ყველა ქრისტიანული ეკლესია უჭერს მხარს ერთდროული ლოცვების მეშვეობით მსოფლიო მასშტაბით. ეკლესიათა ეკუმენური საბჭო ყოველ წელს 350-ზე მეტ წევრ-ეკლესიას მშვიდობისათვის ლოცვისკენ მოუწოდებს. ახალსამოციქულო ეკლესიაც მონაწილეობს ამაში. ამ დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველა ახალსამოციქულო თემში მიმდინარეობს მშვიდობისათვის ლოცვა. მშვიდობისათვის ლოცვები გაერომ წელს ასე დაასათაურა: „მეგობრობა მშვიდობისათვის - ღირსება ყველასათვის“ (“Partnerships for Peace – Dignity for All”).

## მშვიდობა დღეს

ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი კაცობრიობის ისტორიაში გაერთიანებული ერების ქარტიაა. მისი პირველივე სტატია მსოფლიოში მშვიდობის დაცვას გაეროს ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად ასახელებს საერთოდ. ადრე მშვიდობა ომის არარსებობით განისაზღვრებოდა, დღეს გაცილებით მეტს მოვიაზრებთ მასში: ადამიანთა უფლებების დაცვას, კონფლიქტების პრევენციას, განიარაღებას, აღზრდას მშვიდობის პრინციპებით და ადამიანთა უფლებების დაცვას კონფლიქტის მერე. ამასთან დაკავშირებით გაერომ ბევრი მასალა გამოსცა. მშვიდობის დღევანდელი გაგება გაფართოვდა - ომებისა და სამოქალაქო ომების სიაც. თავისი ისტორიის მანძილზე გაერთიანებულმა ერებმა სხვადასხვა ინსტიტუცია ჩამოაყალიბა, რომელთა მიზანიც მსოფლიოში მშვიდობის დაცვა უნდა იყოს: მაგ., გაეროს უშიშროების საბჭო და იუნესკო, გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველო ლტოლვილთა საქმეებში (UNHCR), გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის საბჭო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. თუმცა ნამდვილი მშვიდობა მაინც არ მყარდება.

## იესოა მშვიდობა - მშვიდობა ღმერთშია

ქრისტიანებმა ეს იციან. ისინი მშვიდობას ღმერთთან, იესოსთან ეძებენ. მშვიდობით ცხოვრება მშვიდობის დაცვაზე მეტია. 23 სექტემბრის ახალსამოციქულო ღვთისმსახურებანი ამ სათაურს ატარებს: „ცხოვრება მშვიდობით“. ვიცხოვროთ მშვიდობით მოყვასთან - აქედან იწყება ყველაფერი. იესო ქრისტეა ჩვენი მშვიდობა, ეს იციან ქრისტიანებმა. მან საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, რათა ადამიანებს ღმერთთან შერიგება შეძლებოდათ. მისია ეს სიტყვები: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. [...] ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება“ (იოან. 14, 27). იესო ქრისტეს რწმენა მშვიდობას გვანიჭებს.

ფოტო: მარსელ ფილდე

## და ჩვენ? რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ?

გვქონდეს მშვიდობა ყველა ადამიანთან, ნათქვამია ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (ებრ. 12, 14). მნიშვნელოვანი მოწოდებაა! გვიყვარდეს მოყვასი. ამასთანავე, მოყვასი არისის, ვინც ღმერთმა გვერდით დაგვიყენა. ნეტარ იქნებიან მშვიდობისმოყვარენი - ვართ ჩვენ მშვიდობისმოყვარენი?

ფოტო: კონგოს დრ-ის ახ.ს.ე. - სამხრ.-აღ.

# ახლავე გამოვცადოთ ღვთის დიდება

სწრაფი კატერით კივუს ტბაზე: ასე მივიდა პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი 2015 წლის 13 ივლისს ბუკავოში (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ღვთისმსახურებაზე. იქ მას ქადაგების მოსასმენად (ფრანგულად ან სვაჰილის ენაზე თარგმანით) 2000 -ზე მეტი ღვთის შვილი ელოდებოდა.

ბიბლიური ციტატის ფონი: მოსე მიჰყვა ღვთის მოწოდებას, უარი თქვა მის მანამდელ ცხოვრებაზე და ისრაელის ხალხი ეგვიპტიდან გამოიყვანა. განადგურებული იმის გამო, რომ ხალხმა ზურგი აქცია ღმერთს და ოქროს ხბოს კერპს ეთაყვანა, მოსემ ღმერთის დიდების ხილვის უფლება ითხოვა.

მაგრამ უფლის პირისპირ ხილვა ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. ამის მაგივრად ღმერთმა მოსეს მასთან მიახლოვება მოსთხოვა და ერთ გარკვეულ მთაზე დადგომა, რათა შემდეგ ღმერთი ეხილა მას. ამის მერე ღმერთმა თავისი სიკეთე, სიყვარული, წყალობა და ერთგულება აჩვენა, ბოლოს კი მცნებები მისცა მოსეს.

## ჯერ რწმენა და მერე განცდა

„ცხოვრებაში ჩვენც ბევრ რამეზე გვითქვამს უარი უფალ იესოს გამო“, გაავლო პარალელები პირველმოციქულმა. „მაგრამ ზოგჯერ ბოროტი ძალის განცდაც გვიწევს. ამ დროს სასოწარკვეთილებაში ვვარდებით და ღმერთის ნუგეში გვჭირდება.“ ღმერთთან მიახლოვების მიწვევა ამ დროსაც ძალაშია.

„მივუახლოვდეთ ღმერთს ნიშნავს იმას, რომ მასთან რწმენით მივიდეთ.“ ბევრ ადამიანს აქვს ალბათ ღვთის მიმართ ასეთი მოთხოვნა: „მეჩვენე, ღმერთო, მინდა დაგინახო, და მაშინ გიწამებ.“ მაგრამ: „ეს ასე არ ხდება. ღმერთი რომ დავინახოთ, ჯერ უნდა ვირწმუნოთ იგი.“

ღვთისმსახურების მონაწილეთაგან ბევრი ადგილს ეკლესიის წინ კარვის ქვეშ იკავებს.

## შეხვედრა ღვთისმსახურებაზე

გარდა ამისა, ისეთი ადგილიც უნდა მოიძებნოს, სადაც ღმერთი ცხადდება: „თუ ღვთისმსახურებაზე რწმენით მოხვალ, მოციქულთა სიტყვის მოსასმენად, მაშინ შეხვდები ღმერთს“, თქვა პირველმოციქულმა შნაიდრემა. „და რა ხდება ღვთისმსახურებაზე?“ იკითხა მან და ოთხი პუნქტი დაასახელა:

- ღმერთი თავის სიკეთეს გვიცხადებს: „იესო ქვეყნის დასალაგებლად არ მოსულა - იესო ცოდვილთა გადასარჩენად მოვიდა. მას ყველა ადამიანის გადარჩენა სურს“;
- ღმერთი თავის სიყვარულს გვიცხადებს: „უფალი ყოველ ღვთისმსახურებაზე გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ წმიდა ზიარება ვიზეიმოთ. - იესო გვიახლოვდება და გვეუბნება: მე შენ მიყვარხარ, მე შენთვის მოვკვდიო“;
- ღმერთი თავის ერთგულებას გვიცხადებს: „ის გვახსენებს, რომ იესოს ვუყვარვართ და, რომ ვერაფერი შეცვლის ამ სიყვარულს მაშინაც კი, თუ დიდ ცოდვას ჩავიდენთ“;
- ღმერთი თავის წყალობას გვიცხადებს: „ის გვახსენებს, რომ ღმერთს თავისი დიდების ჩვენთვის გაზიარება სურს. თუმცა ამის დამსახურებას მე ვერ შევძლებ. ამიტომაც სურს მას, რომ მომცეს ის, რაც არ დამიმსახურებია და ეს არის წყალობა.“

და მხოლოდ ამის შემდეგ დგება, როგორც მოსეს შემთქვევაში, ღვთის მცნებების რიგი: „რიგითობა ძალიან მნიშვნელოვანია“, აღნიშნა პირველმოციქულმა. ღმერთს ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ მისი რჯული მისი სიყვარულის გამოხატულება იყო“. რადგან „მისი რჯული ჩვენს დამორჩილებას არ ემსახურება. ღვთის მცნებები ბოროტისგან გვიცავს.“

## შემეცნება წარსულის გადახედვისას

მოსემ ვერ იხილა ღმერთი, მაგრამ მისი იქ ყოფნა შეიგრძნო. „როცა რწმენით მოვდივართ ღვთისმსახურებაზე, ღვთის სიტყვის უწყებაც გვესმის. ღმერთის თანყოფნას წმიდა ზიარებაზე განვიცდით. ჩვენ იესოს თანყოფნასაც განვიცდით ძმურ თანაზიარებაში.“

როგორც მოსემ შეძლო ღმერთის მერე დანახვა, მორწმუნეებსაც შეუძლიათ დღეს მისი აღქმა, როცა წარსულს გადახედავენ: „თუ შენს ისტორიას ჩაუკვირდები, მიხვდები, თუ როგორ მიგიძღვოდა ღმერთი. თუ მის მცნებებს დავიცავთ, მაშინ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ, თუ ასე მოვიქცევი, ბოროტისგან ვიქნები დაცული. ხოლო მოგვიანებით იმის დანახვასაც შევძლებთ, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი მის სიტყვაში.“

## ძირითადი აზრები

გამ. 33, 18

„და უთხრა: ‘მაჩვენე შენი დიდება.“

ღვთისმსახურებაზე სულიწმიდა ღვთის დიდებას გვიჩვენებს, როცა მის სიკეთეს, სიყვარულს, ერთგულებას, წყალობას და რჯულს გვიცხადებს. წმიდა ზიარება და და-ძმური თანაზიარება უფლის თანყოფნის განცდის საშუალებას გვაძლევს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ღმერთი ერეოდა ჩვენს წარსულში.

# კარგი საფუძვლები კარგი გადაწყვეტილებებისათვის

საქართველო და სომხეთი, ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომლებმაც 1991 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ჩრდ.რაინ ვესტფალიის სამხ. ეკლესიის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, პირველმოციქულს შეყვანილი ჰყავდა 2015 წლის აგვისტოს ღვთისმსახურებათა პროგრამაში. საქართველოში ეკლესიის განკარგულების ქვეშაა ოთხი საკუთარი საეკლესიო შენობა და ახალგაზრდული ცენტრი. აქ ღვთისმსახურება საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ჩვენს ეკლესიაში ჩატარდა.

ღმერთს ერთი მიზანი აქვს: „მას ჩვენი ხსნა სწადია. ეს არის მისი ის საქმე, რომლის დასრულებაც მას სურს“, აღნიშნა პირველმოციქულმა. „ხსნის ამ საქმეში ლაპარაკია შენზე - პირადად შენზე“. და: „რაც შენ გეხება, მეხება მეც და ჩვენს მოყვასსაც.“ ღმერთი „ყოველთვის თავისუფალ არჩევანს გვაძლევს, მას არ სურს, რომ ოდესმე რამე დაგვაძალოს. - მე და შენ სრულიად თავისუფლები ვართ, ჩვენ თავად შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება.“ ამის მიუხედავად, „მას სურს გაგვიძღვეს, ის ჩვენს გულს მიმართავს. თავისი სიტყვის მეშვეობით იგი ღვთის სიყვარულსა და ქრისტეს მოთმინებას გვაჩვენებს.“

ჩრდ. რაინ-ვესტფალიის ახ.ს.ე.

შაბათს ერთმორწმუნე და-ძმებმა პირველმოციქულს საქართველოს დედაქალაქი თბილისი დაათვალიერებინეს. - ქვეყანაში, სადაც 4, 5 მილიონი კაცი ცხოვრობს, ცხრა თემის 1103 ახალსამოციქულო ქრისტიანი მხოლოდ მცირე გუნდს წარმოადგენს.

## სიყვარული და მოთმინება

პირველმოციქულმა შნაიდერმა მაგალითისათვის სამი პუნქტი დაასახელა, რომელთა მეშვეობითაც სულიწმიდა ღვთის სიყვარულზე მიგვითითებს:

- „ღმერთს სურს,რომ სიყვარულით დაგაბრუნოს თავისთან თანაზიარებაში“;
- „ადამიანებისადმი სიყვარულიდან გამომდინარე მოვიდა იესო ქრისტე ამქვეყნად იმ მიზნით, რომ ემსახურა“;
- „ღმერთი ამას უანგაროდ აკეთებს, მხოლოდ წყალობიდან გამომდინარე. - არც ერთი ადამიანი არ არის საკმარისად კარგი საიმისოდ, რომ ეს დაიმასახუროს“.

პირველმოციქულმა ქრისტეს მოთმინებასთან დაკავშირებითაც სამი პუნქტი მოიყვანა:

- „იესო ქრისტე შენთვის მოკვდა. მაგრამ, რადგანაც უყვარხარ, მან ბოლომდე დაითმინა“;
- „ღმერთმა თავის ძეს სიყვარულით მისცა ძალა და ის შემწეობა, რომელიც მას სჭირდებოდა“;
- „მაშინაც კი, როცა ადამიანები ერთგულები არ არიან, ღმერთი მაინც ერთგულია და კვლავაც ეხმარება მათ“.

## კარგი საფუძვლები

ამდენად, თავად ადამიანმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, ოღონდ ღვთის მიერ მისთვის მიცემული თავისუფალი ნებიდან გამომდინარე: „ღმერთი ჩვენგან მოელის, რომ სრულწლოვანი ღვთის შვილები ვიყოთ“. მაგ, ზოგიერთს სურს, რომ შეასრულოს ღვთის ნება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სხვას ანდობს გადაწყვეტილების მიღებას - მაგ. ბიბლიის ნებისმიერ ფურცელს ან მღვდელმსახურის შეხედულებას. „ეს არასრულწლოვნების ნიშანია“, აღნიშნა პირველმოციქულმა შნაიდერმა. ვინაიდან, ვინც ასე იქცევა, ის პასუხისმგებლობას გაურბის. „ჩვენ თავად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ამ დროს ღვთის სიყვარულზე და იესო ქრისტეს მოთმინებაზე ვიფიქროთ, და მერე სწორ გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.“

## კარგი გადაწყვეტილებები

აქედან გამომდინარე, ეკლესიის ხელმძღვანელმა კარგ გადაწყვეტილებებად შემდეგი პოზიციები დაასახელა:

- „მსურს ვემსახურო ღმერთს, რადგან მიყვარს იგი“;
- „მსურს მიყვარდეს მოყვასი, რადგან ასეთი ძვირფასია იგი ღვთისათვის“;
- „ვეძიოთ ნამდვილი შემწეობა“ და ვთხოვოთ ღმერთს: „მომეც ძალა, რომ ვატარო ჩემი ჯვარი“;
- „და კიდევ, მოდით ბოლომდე დავითმინოთ“;
- „მოდით, ჩვენი მოყვასის მიმართაც გამოვიჩინოთ მოთმინება“;

„ვინც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ღმერთთან უფრო ახლოს მივა.“

## ძირითადი აზრები

2. თეს. 3, 5:

„უფალმა წრმართოს თქვენი გულები ღვთის სიყვარულში და ქრისტეს მოთმინებაში.“

გვაცნობიერებინებს რა ღვთის სიყვარულსა და ქრისტეს მოთმინებას, სულიწმიდა სიყვრულისა და მოთმინებისკენ გვიბიძგებს.

# შემოქმედება

## დაბადება 1

პირველი ისტორია, რომელიც ბიბლიაში გვხვდება, შემოქმედების ისტორიაა.
ის მოგვითხრობს, რომ ღმერთმა, უფალმა, ცა და მიწა, მცენარეები, ცხოველები და ადამიანები შექმნა.

თავიდან ღმერთმა ცა და მიწა შექმნა. დედამიწაზე ჯერ კიდევ სიცარიელე და სიბნელე იყო გამეფებული. შემდეგ შექმნა ნათელი. ღმერთმა ნათელი და ბნელი ერთმანეთისგან გაჰარა; ნათელს დღე უწოდა, ბნელს კი - ღამე.

ამის შემდეგ ღმერთმა ხმელეთი და წყალი გააცალკევა. წყალი ნაკადულებად, მდინარეებად, ტბებად და ზღვებად იქცა. მერე ბალახი, ყვავილები და ნაყოფიერი ხეები აღმოაცენა. ყველაფერმა გაიხარა; დედამიწა მრავალფეროვანი და მშვენიერი გახდა.

ღმერთმა მნათობები დასხა ცაზე: მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

შემდეგ შექმნა ცხოველები, რომლებიც წყალში ცხოვრობენ, ვეშაპები და კიდევ ბევრი სხვა, ასევე ფრინველებიც. წყალში თევზები, მოლუსკები და კიბორჩხალები ირეოდნენ. ცაში კი ფრინველები დაქროდნენ.

მოგვიანებით სხვა ცხოველებიც დაემატნენ. დედამიწაზე ყველგან რაღაც დაცოცავდა, დახტოდა და დარბოდა. ბოლოს ღმერთმა ადამიანები შექმნა: ქალი და კაცი. ისინი უნდა გამრავლებულიყვნენ და მოფრთხილებოდნენ ყველაფერს, რაც ღმერთმა, უფალმა, შექმნა.

იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო, რაც შექმნა და დაისვენა.

სამყაროს შექმნა ბიბლიაში ორ სხვადასხვა გადმოცემაში გვხვდება. ისინი დაბადების დასაწყისში ერთიმეორის მიყოლებით არის მოცემული. პირველი გადმოცემა (ნახე მარცხ.) შემოქმედების ყველა დღეს მკაცრი წესრიგით აღწერს და ჩამონათვალს წააგავს. აქ ქალის და მამაკაცის ღვთის ხატად შექმნა ერთდროულად ხდება. მეორე გადმოცემა უფრო მეტად მხატვრულ აღწერას შეიცავს. ის აღწერს, თუ როგორ შეიქმნა თავიდან კაცი, ხოლო მოგვიანებით კაცის ნეკნიდან - ქალი. მეორე გადმოცემა უფრო ძველია.

მარელა ფირტუნატო

# სტუმრად კამილასთან ნიემბიში (პარაგვაი)

ფოტო: პარადელი



გამარჯობათ! მე მქვია კამილა, ვარ ცხრა წლის და ვცხოვრობ პარაგვაიში. ეს არის სამხრ. ამერიკის ქვეყანა. გუარანის ენაზე, აბორიგენი მოსახლეობის ენაზე, პარაგვაი ნიშნავს წყალს, რომელიც წყალთან მიდის, ანდა მდინარეს, რომელიც ტბიდან გამოედინება. პარაგვაი ამავე სახელწოდების მდინარის სახელს ატარებს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გასდევს. ის ორ ნაწილად იყოფა. მდინარის დასავლეთით გრან ჩაკო მდებარეობს, ზაფხულში იქ ტემპერტურა 40°-სს აჭარბებს. უნაყოფო საძოვრებზე საქონელია გაშვებული. აღმოსავლეთში უფრო ხშირად წვიმს, კოკისპირული წვიმებიც კი იცის.

მდინარე პარაგვაის მიდამოებში ყველაზე დიდი მღრღნელები ცხოვრობენ, რაც კი დედამიწაზე არსებობს. ზოგიერთი მათგანის სიგრძე ერთ მეტრზე მეტია და 60 კილოგრამს იწონის. მათ კალიბარები ეწოდებათ. ისინი ვეგეტარიანელები არიან და ძირითადად ბალახით იკვებებიან. რაღაცით ზღვის გოჭებს წააგვანან და მათი მონათესავე ჯიშია. იმის გამო, რომ ფეხის თითებს შუა საცურაო აპკები აქვთ, სწრაფად ცურვა შეუძლიათ.

ცხენი და სპილო მე თვითონ დავხატე. თავისუფალ დროს ხატვა მიყვარს. ხატვა ძალიან მომწონს. როცა გავიზრდები, ხატვის მასწავლებელი მინდა გამოვიდე.

პარაგვაიში ყველა ბავშვმა ცხრა კლასი უნდა დაამთავროს. ამჟამად მე მეოთხე კლასში ვარ. ვინაიდან ესპანურიც და გუარანიც სახელმწიფო ენებია, სკოლაში ორივე ენაზე

გვასწავლიან.

სკოლის საგნებთან ერთად სხვა გაკვეთილზეც დავდივარ: ცოტა ხნის წინ ვიოლინოზე დაკვრის სწავლა დავიწყე. ჩემი და ვერონიკაც უკრავს ვიოლინოს. ის უკვე დიდი ხანია მასზე დაკვრას სწავლობს და ზოგჯერ ღვთისმსახურებებზეც უკრავს. ვერონიკა გუნდშიც მღერის, ის 18 წლისაა.

ეს ფერნანდო-დე-ლა-მორას

ახალსამოციქულო ეკლესიაა. აქ დავდივართ ღვთისმსახურებებზე დედა, ვერონიკა და მე, დედაჩემი კარინა საკვირაო სკოლის მასწავლებელია. ეკლესია ჩვენი საცხოვრებელი ადგილიდან დაახ.

20 კმ-ით არის დაშორებული. მამაჩემ ერნესტოს უფრო გრძელი გზის გავლა უწევს ღვთისმსახურებაზე მისასვლელად, ვიდრე ჩვენ. ის სიუდად-დელ-ესტეს თემის წინამძღვარია, რომელიც 324 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ყოველ შაბათ-კვირას მიდის ის იქ და თან პარაგვაის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაკვეთა უწევს.

სიუდად-დელ-ესტე პარაგვაიში სიდიდით მეორე ქალაქია. ჩემი ოჯახი, ე. ი. ჩემი მშობლები, ჩემი და და მე, ნიემბიში ვცხოვრობთ, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ ასუნსონის გარეუბანში. ასუნსონი ყველაზე დიდი ქალაქია ჩვენს ქვეყანაში და სამხ. ამერიკის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს წარმოადგენს.

# საფოსტო ყუთი

## როგორ ხვდებით ახალ წელს?

„ახალ წელს ჩემს მშობლებთან და ძმასთან ერთად ფეიერვერკებით ვხვდები. მე მათი გაშვება მაბარია. მათიასი, 12 წლის, მონტევიდეო/ურუგვაი

„ახალ წელს ჩემს ოჯახთან ერთად ვხვდები. ჩვენ ღვთის სახლში მივდივართ და ვფიქრობთ ყველაფერ კარგზე, რაც მომავალ წელს იქნება.“ სანტიაგო, 7 წლის, ლა-კორუნია /ესპანეთი

„მომავალ წელს მინდა, რომ ვიჯირითო“. ერიკი, 5 წლის, კოენიგშტაინი/თაუნუსი

მე დეიდაჩემთან მინდა, რადგან მას საყვარელი ძაღლები ჰყავს.“ ქრისტიანი, 8 წლის, კოენიგშტაინი/თაუნუსი

ფოტო: ოლივერ როუტენი

# იესო ქრისტეს ეკლესია

2015 წელს გამოვიდა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებისა და პასუხების ფორმით. მთლიანობაში 750 კითხვისა და პასუხისგან შემდგარი წიგნიდან „კომიუნიტი“ შერჩევით წარმოგვიდგენს რამოდენიმე კითხვასა და პასუხს - ამ გამოცემაში საუბარი იქნება იესო ქრისტეს ეკლესიასა და საეკლესიო თანამდებობაზე.

**რას ნიშნავს „ეკლესია“ ზოგადად?**

ცებას „ეკლესია“ სამი სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია. პირველი, მასში ქრისტიანული ღვთის სახლი (მაგ. სოფლის ეკლესია) იგულისხმება, სადაც მორწმუნენი ღვთისმსახურებაზე იკრიბებიან. შემდეგი მნიშვნელობის მიხედვით „ეკლესია“ ერთ რომელიმე ადგილას არსებულ თემს აღნიშნავს. გარდა ამისა, „ეკლესიაში“ ქრისტიანული ორგანიზაცია (დენომინაცია) მოიაზრება, მაგ. ახალსამოციქულო ეკლესია ან კათოლიკური ეკლესია.

„დენომინაცია“, ლათინური „denominatio“-დან, („აღნიშვნა“, „დასახელება“) არ არის ის ცნება, რომელიც რელიგიურ თემს მიესადაგება.

**აუცილებელია ეკლესია?**

დიახ, ქრისტიანად ყოფნისათვის ეკლესია აუცილებელია, რადგან მხოლოდ იქ ვისმენთ ღვთის სიტყვას, იქ მოგვეფინება საიდუმლონი და იქ განვიცდით თანაზიარებას ღმერთთან და ერთმანეთთან. ამ შემადგენელი ნაწილების არსებობა მთლიანობაში აუცილებელია ხსნის მისაღწევად. ეკლესიის გარეშე ადამიანი ამას ვერ შეძლებს.

**როგორ აღიქვამს ადამიანი იესო ქრისტეს ეკლესიის უხილავ მხარეს?**

ეკლესიის უხილავ მხარეს ხსნის საქმეებშიც აღვიქვამთ. ადამიანისათვის ისინი უხილავია და მათში წვდომა მხოლოდ რწმენით შეიძლება.

ხსნის საქმეების მაგალითებია:

- ღმერთის მიერ ცოდვათა მიტევება;
- ნათლობის შედეგად მემკვიდრეობით მიღებული ცოდვების ჩამორეცხვა;
- ღმერთის მიერ სულიწმიდის მადლის მოფენა;
- წმიდა ზიარებისას ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება;
- განსვენებულთათვის საიდუმლოთა მოფენა;
- ლოცვა-კურთხევანი (კონფირმაცია, ორდინაცია და ა. შ.);
- ქადაგებაში ღმერთის მიერ ადამიანური სიტყვებით მოქმედება;
- თემისათვის კურთხევის მოფენა.

როგორ აღვიქვამთ ეკლესიის ხილულ მხარეს?
ეკლესიის ხილულ მხარეს სხვათა და სხვათა შორის ეკლესიაში ადამიანთა ქმედებაშიც აღვიქვამთ. ამის აღქმა შეიძლება, მაგ.,

- ადამიანების მიერ იესო ქრისტეს აღიარებაში,
- ღვთისმსახურების დროს,
- ნათლობისათვის წყლის კურთხევისას და თავად ნათლობისას,
- მღვდელმსახურთა მიერ პურისა და ღვინის გამონაწილებისას წმიდა ზიარებისათვის და წმიდა ზიარების დროს,
- მოციქულთა მიერ სულიწმიდით აღბეჭდვასას ხელდასხმით,
- ქადაგებაში,
- ლოცვის დროს,
- მოყვასის სიყვარულის პრაქტიკულ განხორციელებაში.

რა თვისებები ახასიათებს იესო ქრისტეს ეკლესიას?
ქრისტეს ეკლესიას - როგორც მის ხილულ მხარეს, ასევე უხილავ მხარესაც - შემდეგი ოთხი დამახასიათებელი თვისება გააჩნია: ერთობა, სიწმიდე, საყოველთაობა და მოციქულობა. ეკლესიის ამ თვისებებს „noate ecclesiae“-ს უწოდებენ.

რას ნიშნავს „იესო ქრისტეს ეკლესიის ერთობა“?
ეკლესია ერთია, ვინაიდან მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს. ეკლესია მოწმობს ღმერთის, მამის, ძისა და სულიწმიდის ერთობაზე, ის ეკლესიაში მოქმედებს. იესომ ერთმანეთს შორის ერთობა და ურთიერთსიყვარული დაასახელა იმათ შესაცნობ ნიშნად, ვინც ეკუთვნის და მისდევს მას. ღვთის არსი ეკლესიაში ასე ვლინდება: „ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება“ (1. იოან. 4, 16).

რას ნიშნავს „იესო ქრისტეს ეკლესიის სიწმიდე“?
ეკლესია წმიდაა, ვინაიდან სამერთი ღმერთია წმიდა. ქრისტეს ეკლესიაში ის სიტყვითა და საიდუმლოთი მოქმედებს.

რას ნიშნავს „იესო ქრისტეს ეკლესიის საყოველთაობა“?
ეკლესია საყოველთაოა, ვინაიდან ღმერთი ყველა ადამიანისთვისაა, ცოცხლებისთვისაც და მკვდრებისთვისაც. სახარების ქადაგებისთვის საზღვრები არ არსებობს.

რას ნიშნავს „იესო ქრისტეს ეკლესიის მოციქულობა“?
ეკლესია სამოციქულოა, ვინაიდან იქ სამოციქულო მოძღვრება იქადაგება და მოციქულები მოღვაწეობენ.

სად შეიძლება იესო ქრისტეს ეკლესიის განცდა?
იესო ქრისტეს ეკლესიის განცდა იქ არის შესაძლებელი, სადაც არის ერთობა, სიწმიდე, საყოველთაობა და მოციქულობა. იესო ქრისტეს ეკლესია ყველაზე ნათლად იქ ვლინდება, სადაც არიან მოციქულები, ხდება საიდუმლოთა მოფენა ცოცხლებსა და მკვდრებზე და სწორად იუწყება ღვთის სიტყვა. უფლის მიერ სნის საქმე იქ არის, სადაც ქრისტეს სასძლოს ზეცაში ქორწილისათვის ამზადებენ.

რა აკავშირებს ცალკეულ საეკლესიო თემებს ერთმანეთთან?
ცალკეული საეკლესიო თემების დამაკავშირებელი ელემენტებია - ღვთის, მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით ნათლობა, იესო ქრისტეს აღიარება და სამერთი ღმერთის რწმენა. იმ მონათლულთა მეშვეობით, რომლებიც რწმენით ცხოვრობენ და ქრისტეს თავის უფლად აღიარებენ, ეკლესია რწმენის, იმედისა და სიყვარულის ერთობად აღიქმება.

სარედაქციო კოლეგია:
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი
იუბერლანდსშტრასე 243, CH-8051 ციურიხი, შვეიცარია
გამომცემლობა ფრიდრიხ ბიშოფი, შპს.
ფრანკფურტერშტრასე 22, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
მთავარი რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ფოტო: სამხ. აფრიკის ა.ს.ე.

# | თანამდებობა ( სასულიერო წოდება)

**რა იგულისხმება „თანმდებობაში“?**
ზოგადად „თანმდებობაში“ იგულისხმება რაიმე ფუნქცია ან ოფიციალური მდგომარეობა, რომელსაც კონკრეტული ამოცანები და პასუხისმგებლობა უკავშირდება. თანამდებობის მქონე პირი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ფლობს ავტორიტეტს, უხელმძღვანელოს საზოგადოებას და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებანი.

**როგორია სასულიერო თანამდებობის (წოდების) წარმომავლობა?**
სასულიერო თანამდებობის წარმომავლობის სათავეს ღმერთის, მამის მიერ იესო ქრისტეს მოვლენა წარმოადგენს. მაშასადამე, იესო ქრისტე ღვთისგან არის მოვლენილი. როგორც ასეთი, ის უფლებამოსილი, კურთხეული და განწმედილია იმისათვის, რომ იხსნას ადამიანები. მოციქულები კი იესო ქრისტეს მიერ არიან მოვლენილნი. სასულიერო თანამდებობა ყოველთვის იესო ქრისტესთან და მის მიერ მოვლენილ მოციქულებთან არის კავშირში. ე. ი., სასულიერო თანამდებობა და მოციქულობა ურთიერთკავშირშია: სასულიერო თანამდებობა არსებობს იქ, სადაც მოციქულები მოღვაწეობენ.

ცნება „მოციქულობა“, უპ. ყოვლისა, გამოიყენება მაშინ, როცა მოციქულის წოდების მატარებელთა აღნიშვნა ხდება მთლიანობაში (მოციქულობა = იესოს მოციქულებს). მღვდელმსახურნი და დიაკვნები „მოციქულობის“ დავალებით მოქმედებენ და სასულიერო ზრუნვასთან, სიტყვის უწყებასთან და საიდუმლოთა მოფენასთან დაკავშირებულ ამოცანებს ასრულებენ.

**როგორ გვესმის სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული უფლებამოსილება?**
სასულიერო თანამდებობას ანიჭებს მოციქული იესო ქრისტეს დავალებით. ამდენად, ის, ვინც ამ თანამდებობას მიიღებს, მოციქულის უფლებამოსილების თანაზიარი ხდება. ეს უფლებამოსილება მან მოციქულის დავალებით უნდა გამოიყენოს. ამგვარად, თანამდებობის მიმღები მოციქულის დავალებით მოქმედებს და წარმოადგენს მას ამ სასულიერო თანამდებობისათვის დადგენილ ფარგლებში. ბოლოს კი მოციქულის მიერ მღვდელმსახურის მივლინება ხდება. მივლინებული პასუხისმგებელი და ვალდებულია მისი მიმავლინებელის წინაშე.

**მაგალითები უფლებამოსილებით მოქმედებასთან დაკავშირებით:**

როცა მოციქული ცოდვებს მიუტევებს, ის იესო ქრისტეს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მოქმედებს. სწორედ აქედან გამომდინარე იუწყება იგი ცოდვათა მიტევებას ამ სიტყვებით: „გაუწყებთ სასიხარულო ცნობას (გახარებთ): ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ცოცხალი ღმერთის ძის სახელით მოგეტევათ თქვენ ცოდვები თქვენი.“ როცა მღვდელმსახური მიუტევებს ცოდვებს, ის მოციქულს წარმოადგენს. ამიტომაც ცოდვათა მიტევებას იგი ამ სიტყვებით იუწყება: „ჩემი გამომგზავნის, მოციქულის, დავალებით გახარებთ: ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ცოცხალი ღმერთის ძის სახელით მოგეტევათ თქვენ ცოდვები თქვენი.“

როგორ გვესმის „მსახურებანი“ იესო ქრისტეს ეკლესიაში?
ყოველი მონათლული მოწოდებულია, ემსახუროს უფალს მოყვასისადმი მოქმედი სიყვარულითა და რწმენის აღიარებით (შევ. იოან. 12, 26). „მსახურებაში“ მოვიაზრებთ იესო ქრისტეს ეკლესიაში ცალკეული მორწმუნისათვის კონკრეტული დავალებებისა და სამოქმედო სფეროს გამოყოფას, რაც ხელს უწყობს მორწმუნეთა კეთილდღეობასა და სახარების უწყებას. ამგვარი მსახურებანი სრულდება ყველგან, სადაც მონათლულები იესო ქრისტეს, როგორც მათი უფლის, რწმენას სიტყვითა და საქმით აღიარებენ.

რით განსხვავდება იესო ქრისტეს ეკლესიაში განხორციელებული მსახურებანი სასულიერო წოდებებისგან?
მსახურებანი სასულიერო წოდებებისგან იმით განსხვავდება, რომ მათი აღსრულება ორდინაციის გარეშეც არის შესაძლებელი.

რომელი სასულიერო წოდება დააწესა იესო ქრისტემ?
უშუალოდ იესო ქრისტემ თავის ეკლესიას მხოლოდ ერთი სასულიერო თანამდებობა უბოძა, კერძოდ, მოციქულობა. მოციქულები მან აკურთხა, განწმიდა და უფლებამოსილებითა და სულიწმიდით აღჭურვა: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგვალენთ თქვენ’. ეს რომ თქვა, სული შეუბერა და ეუბნება: ‘ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ“ (იოან. 20, 21-23). მოციქულებს მან საიდუმლოთა მართვაც მიანდო. ამგვარად, მისი მსხვერპლი ადამიანებისთვისაც გახდა მისაწვდომი (შევ. მათ. 28, 19. 20).

მოციქულთა უფლებამოსილება „საიდუმლოთა მართვასთან“ დაკავშირებით ნიშნავს იმას, რომ მოციქულებმა საიდუმლოთა მოფენის დავალება იესო ქრისტესგან მიიღეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა საიდუმლოს მოციქულები თავად არ მოჰფენენ, ისინი მაინც მოციქულობასთან არიან ყოველთვის დაკავშირებულნი.

ვინ მოჰფენდა სულიწმიდის მადლს ახალი აღთქმის თანახმად?
მოციქულთა საქმე 8, 15-18-დან გამომდინარეობს, რომ სულიწმიდის მადლის მოფენა მოციქულობას უკავშირდება: ფილიპე სამარიაში ქადაგებდა და მორწმუნეებს წყლით ნათლავდა. გაიგეს რა მოციქულებმა ეს ამბავი, პეტრე და იოანე გააგზავნეს იქ. მათ „ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა. ვინაიდან მანამდე არც ერთ მათგანზე არ იყო გადმოსული, მხოლოდ მონათლულები იყვნენ უფალ იესოს სახელით. მაშინ დაასხეს ხელები მათ და მათაც მიიღეს სულიწმიდა.“ ამას ხაზი აქვს გასმული ასევე მოციქულთა საქმეში 19, 6: „როდესაც პავლემ დაასხა მათ ხელი, გადმოვიდა მათზე სულიწმიდა.“

კიდევ სხვა რა მნიშვნელოვანი დავალებები ჰქონდათ მოციქულებს?
მოციქულთა მნიშვნელოვანი დავლება იყო იმის უწყება, რომ იესო ქრისტე მათ შორის მოღვაწეობდა, მოკვდა და მკვდრეთით აღდგა (შევ. საქმე 13, 26-41); 17, 1-4). ისინი ებრძოდნენ იმ ცრუმოძღვრებებს, რომლებიც ყოველივე ამის უარყოფას ცდილობდნენ (შევ. 1. კორ. 15, 3-8; 1. იოან. 4, 1-6).

რომელია ის პირველი საეკლესიო თანამდებობა, რომელიც მოციქულობიდან მოდის?
მოციქულებმა თავიანთი მოვალეობის შესრულება და სახარების ქადაგება ორმოცდაათობაზე დაიწყეს. მალე ნათელი გახდა, რომ მათ დამხმარეები სჭირდებოდათ; ამ მიზნით შვიდი კაცი შეირჩა. ამ მსახურების შესასრულებლად მოციქულებმა ისინი ლოცვითა და ხელდასხმით აკურთხეს. ამ შვიდ კაცს პირველ დიაკვნებს უწოდებენ.

„წარუდგინეს ისინი [ეს კაცები] მოციქულებს, ილოცეს და ხელები დაადეს მათ.“
მოციქულთა საქმე 6, 6

თანამდებობის რამდენი კატეგორია და რამდენი სასულიერო წოდება არსებობს ახალსამოციქულო ეკლესიაში?
ახალსამოციქულო ეკლესიაში არსებობს თანამდებობის სამი კატეგორია სხვადასხვა სასულიერო უფლებამოსილებებით: მოციქულები, მღვდელმსახურები და დიაკვნები.

- მოციქულთა კატეგორიას განეკუთვნებიან: პირველმოციქული, სამხ. მოციქულები და მოციქულები.
- მღდელმსახურთა კატეგორიას გენეკუთვნებიან: ეპისკოპოსები, სამხ. უხუცესები, სამხ. მახარებლები, მწყემსები, თემის მახარებლები და მღვდლები.
- დიაკვანთა კატეგორიას განეკუთვნებიან: დიაკვნები და დიაკვნის თანაშემწენი.

# „წადით, მოიარეთ მთელი ქვეყანა“: მოწვევა 2019 წლის საერთშორისო ახალგაზრდულ დღეზე

Photo: EJT Foto-Team

2019 წლის 30 მარტიდან 2 ივნისამდე ხელახლა ჩატარდება ევროპის ახალგაზედული დღე - ამჟამად მსოფლიო მასშტაბით. „მახარებს ის ფაქტი, რომ 2019 წლის ამაღლებაზე ბევრი ახალგაზრდა ჩამოვა დიუსელდორფში მთელი მსოფლიოდან“, ამბობს პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი, მსოფლიო ახალსამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელი.

2009 წელს 35. 000 ახალგაზრდა ჩამოვიდა დიუსელდორფში ევროპის ახალგაზრდულ დღეზე. ხუთი წლის შემდეგ 45. 000 მორწმუნემ მოიყარა თავი მიუნხენში ეკლესიის საერთაშორისო დღეზე. ახლა კი, ხუთი წლის მერე, შემდეგი დიდი ღონისძიება უნდა ჩატარდეს. ახალსამოციქულო ეკლესიის სამხ. მოციქულებმა ეს გადაწყვეტილება ყრილობაზე მიიღეს, რომელიც იოჰანესბურგში (სამხრ. აფრიკა) ჩატარდა. მანამდე კი სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა (ჩრდ.-რაინ ვესტფალია) საერთაშორისო ახალგაზრდული დღის გეგმები წარადგინა.

## ცენტრალური ადგილი ევროპაში

დიუსელდორფს, როგორც ღონისძიების ჩატარების ადგილს, რამოდენიმე უპირატესობა გააჩნია: ქალაქი ევროპის ცენტრში მდებარეობს, ახლო და შორეული მიმოსვლისათვის ხელსაყრელი ტრანზიტული მდებარეობა გააჩნია, აქვს საერთაშორისო აეროპორტი. გარდა ამისა, 2009 წლის ევროპის ახალგაზრდული დღიდან გამომდინარე ნაცნობია ის ტერიტორიაც, სადაც ღონისძიება უნდა ჩატარდეს, რაც მის ორგანიზირებას ბევრად აადვილებს. განმასხვავებელი ნიშანი, რაც დიუსელდორფს ევროპაში გამოარჩევს, არის ის, რომ ზუსტად ბაზრობის ტერიტორიის გვერდით გადახურულ ისტადიონი მდებარეობს 45.000 ადგილით. არენა თბება და თავისი შეკიდული ჭერით იმის საშუალებას იძლევა, რომ მეტეოროლოგიური პირობებისაგან დამოუკიდებლად მოხდეს დაგეგმვა. დიუსელდორფის ბაზრობის ტერიტორიაზე არის რამოდენიმე დარბაზი, სადაც ღონისძიებები ტარდება, და რომლის ტერიტორიაც 90. 000 კვ. მ-ს შეადგენს. მათ შორის მოკლე დამაკავშირებელი გზებია. ბაზრობის საკონფერენციო ცენტრში დამატებითი ოთახებია ვორკშოპებისა და მცირე ღონისძიებების ჩასატარებლად 20-150 კაცისათვის. ამას ემატება სასადილო დარბაზები, ასევე ცხრა საძინებელი დარბაზი 123 კვ. მ. ტერიტორიით, სადაც 24. 000 კაცი

ეტევა. დარბაზებს შორის არსებული მიმდებარე ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნას სცენად ღია ცის ქვეშ (Open-Air).

## ველოდებით 30. 000 მონაწილეზე მეტს

2019 წლის ევროპის საერთაშორისო დღეზე მოწვეულნი არიან ახალგაზრდა მორწმუნენი 14-დან 35 წლამდე - ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად. ასევე ჩამოვლენ თანმხლებლები და ასეულობით დამხმარე. ჯერ კიდევ ევროპის ახალგაზრდულ დღეზე იგრძნობოდა დიდი ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ შემდგარიყო ახალგაზრდების საერთაშორისო შეხვედრა არა მხოლოდ ევროპის ფარგლებში: ამდენად, 2009 წ. დიუსელდორფში რამოდენიმე ასეული მონაწილე ჩამოვიდა აფრიკიდან, ამერიკიდან და აზიიდან.

საორიენტაციო გეგმაში ისიც არის გათვალისწინებული, რომ ამაღლებაზე გახსნასთან დაკავშირებული ღვთისმსახურება ჩატარდება. გახსნისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი პარასკევს ნაშუადღევს არის დაგეგმილი. ამის შემდეგ ბაზრობის ტერიტორიისდარბაზებშიორდღიანიპროგრამაიქნება შემოთავაზებული მრავალფეროვანი გამოფენებით, მოხსენებებით, ვორკშოპებით, კონცერტებითა და კიდევ ბევრი სხვა რამით. შაბათს მუსიკალური საღამო უნდა ჩატარდეს. ახალგაზრდული დღის კულმინაცია და თან დასასრული კვირის ღვთისმსახურება იქნება, რომელსაც პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი ჩაატარებს.

## საერთაშორისო სტუმრები - საერთაშორისო პროგრამა

საერთაშორისო ახალგაზრდული დღის მასპინძელი ჩრდ.-რაინ ვესტფალიაა, სადაც 2009 წელს სამხ. მოციქულ არმინ ბრინკმანის ხელმძღვანელობით ევროპის ახალგაზრდული დღის ორგანიზირება მოხდა. მაშინდელივით დღესაც სასურველია, რომ ახალგაზრდული დღის მოწყობაში ბევრი ახალსამოციქულო ქრიტიანი ჩაერთოს სხვადასხვა

რეგიონებიდან და ქვეყნებიდან. ამიტომაც სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა ჯერ კიდევ სამხ. მოციქულთა ყრილობაზე ისაუბრა იმის შესახებ, რომ პროგრამის შემუშავებაში, შეძლებისდაგვარად, სამხ. მოციქულის ყველა სამოღვაწეო მხარემ უნდა მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო მასშტაბით: მან თქვა, რომ მოხარული იქნება, მიიღოს ყველა სტუმარი - ნებისმიერი ქვეყნის, კულტურისა და ერის წარმომადგენლი.

„ჩვენთვის, მასპინძლებისათვის, ეს მოვლენა დიდი პატივია, მაგრამ ასევე გამოწვევაც“, თქვა ჩრდ.-რაინ ვესტფალიის ახალსამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელმა. „მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ 2009 წლის გამოცდილებითა და ჩვენი ეკლესიის ბევრი აქტიური თანამოაზრით ეს ღონისძიება შედგება.“

სამხ. მოციქული დღესვე უხდის მადლობას ყველას, ვინც ამაღლების შაბათ-კვირას დახმარებისათვის მზადყოფნა გამოხატა: „ბევრი დამხმარე დაგვჭირდება, რათა მივხედოთ ჩვენს სტუმრებს და ვიზრუნოთ ღონისძიებებზე.“ თუმცა მან ისიც აღნიშნა, რომ მას ეს არ აფიქრებს, რადგან „დღესაც ბევრი ლაპარაკობს ევროპის ახალგაზრდულ დღეზე და იქ შექმნილ განსაკუთრებულ ატმოსფეროზე. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი დამხმარის მოზიდვას შევძლებთ, რომლებიც დიუსელდორფის ახალგაზრდული დღის მოწყობაში დაგვეხმარებიან.“

## დაგეგმარების შტაბი სტარტს 2016 წ. აიღებს

ჯერ კიდევ შესამუშავებელია 2019 წლის ახალგაზრდული დღის სხვა დეტალები. ამაზე დაგეგმარების შტაბი იზრუნებს, რომელიც მუშაობას 2016 წ. შეუდგება. ამასთანავე, გათვალისწინებულია მჭიდრო კოორდინაცია სამხ. მოციქულთა კრებასთან.

ახალგაზრდული დღის ჩატარების მიზნით გათვალისწინებულია ასევე შპს-ს შექმნა, როგორც ეს 2009 წლის ახალგაზრდული დღის შემთხვევაში მოხდა. მეწილე რამოდენიმე ევროპული სამხ. ეკლესია იქნება.

# პროგრამა

| | |
|---|---|
| 03.01.2016 | გავიმარჯვოთ (გერმანია) |
| 10.01.2016 | უიო ობიო (ნიგერია) |
| 12.01.2016 | იამუსუკრო (კოტ-დ'ივუარი) |
| 07.02.2106 | ულმი (გერმანია) |
| 14.02.2016 | ბერლინი (გერმანია) |
| 19.02.2016 | ლიბანგო (ანგოლა) |
| 21.02.2016 | ლუანდა (ანგოლა) |
| 27.02.2016 | მვანდა (დრ. კონგო) |
| 28.02.2016 | კინშასა (კონგოს დრ.) |
| 06.03.2016 | ბილეფელდი (გერმანია) |
| 13.03.2016 | ციურიხი (შვეიცარია) |
| 20.03.2016 | კიმბერლი (სამხრ. აფრიკა) |
| 25.03.2016 | ნორდჰაიდე (გერმანია) |
| 27.03.2016 | ბრემენი (გერმანია) |

New Apostolic Church
International